ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კოუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები
საერთო—დირექ. 14—76. სტამბის—დირ. 79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს.
რესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე

ოთხშაბათი, 29 ივნისი 1921 წ.

№ 95 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და საქართ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 95

კომუნიზმის სახელით..

. . . „და ჩვენც მეტს არაფერს ვამბობთ. ამასვე ამბობს ისტორია, სოციოლოგია, მარქსიზმი **და სალათ შეთვისებული კომუნიზმი“**, ბრძანებს გრ. გიორგაძე, ყოფილი სამხედრო მინისტრი საქართველოს ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკისა! (იხ. გაზეთ „ახალი სხივის“ უკანასკნელი № 11).

„ჩვენც მეტს არაფერს ვამბობთო“... და განა შეიძლება კიდევ რამაზე მეტის თქმა ჩვენს წინააღმდეგ, რაც ამ ერთ ნომერში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოსისხლე მტრებს, თუმცა ღონე მიხდილთ, მარტო ამ ერთ ნომერში მოუწერიათ?!

ალბათ იგრძვნეს, რომ ეს მათი, შავი „გედის უკანასკნელი“ შავი „სიმღერაა“! მათ გვითხრეს არა მარტო ის, რაც მათ შავ მოღალატურ სულს აწუხებს და მოსვენებას არ აძლევს, არამედ ისიც, რასაც ჩვენვე საქვეყნოთ აშკარათ, დაუფარავათ ვაცხადებთ,—ისიც, რაც მათ ყველას თავმოსაბეზრებლათ ათასჯერ უთქვამთ ბალშევიკების წინააღმდეგ და რითაც უნდათ ოპორტიუნიზმის აშმორებულ აყროლებული ტბა გატოპონ.

ჩვენ არც დრო გვაქვს, არც ალაგი და არც ხალისი, რომ მათ გამოუდგეთ, კრიჭაში ჩაუდგეთ და ყოველ მათ სიყალბეზე, ყოველ სიცრუეზე, ყოველ მათ ლოდიკურ ნახტომებზე და მათი „ტვინის უჯრედების“ თვისებურობაზე ცალკე წერილები ვწეროთ. ისტორიისაგან განწირულ ხალხს თვით ისტორია „აუგებს წესს“, ხოლო ჩვენ მათდამი მხოლოთ „შესანდობარის“ წარმოთქმა დაგვჭირდება.

აი თუნდა დავიწყოთ თავიდან და გაკვრით განვიხილოთ ორიოდე დებულება—ბრალდება მაინც, რაც ჩვენს წინააღმდეგ არის წამოყენებული.

1. დებულება—ბრალდება **პირველი:** „ჩვენ ვდგევართ ეკონომიური კატასტროფის წინ... სწერენ ისინი ხსენებულ №-რის მეთაურში—ხსნა არსაიდან არა სჩანს, თვითონ საბჭოთა რუსეთი უკან იხევს: იქ წვრილი და საშუალო წარმოება ისევ კერძო ინიციატივის ხელში გადადის, წვრილი ვაჭრობა თავისუფალია. ჩვენში მდგომარეობა კიდევ უარესია, **რადგან აქ იღებენ იმას, რაც მიუღებელი შეიქნა რუსეთისათვის:—წვრილი და საშუალო წარმოების ნაციონალიზაციას.“**

ეკონომიური კატასტროფის წინ ვდგევართ არა მარტო ჩვენ, არა მხოლოდ ახლა, არამედ ჩვენთან ერთად როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკები, ისე კაპიტალისტურ დიდი სახელმწიფოები, ისე მთელი კულტურული ქვეყნიერება და ასეთი მდგომარეობა დღევანდელი ამბავი არაა: ეს უკვე სამი წლის წინათ მსოფლიო ომის დასასრულს გამოაშკარავდა და ეს სამი წელია, რაც მთელი კულტურული კაცობრიობა: კაპიტალისტურიც და სოციალისტურიც, ბურჟუაზიულიც და პროლეტარულიც მხოლოდ იმის ცდაშია რომ ამ ჩიხიდან გამოვიდეს და ეკონომიური წონასწორობა ალადგინოს.

კითხვა მხოლოდ იმაშია, თუ ვისი მეთოდით და ვისი ინიციატივით, რომელი სისტემით შეიძლება ამის მიღწევა: ისევ ძველი კაპიტალისტური სისტემით, თუ ახალი გარდამავალი ფორმის, სახელმწიფოებრივ—კაპიტალიზმის და სოციალისტური ეკონომიკის შემოღებით.

ვისაც ეს კითხვა ვერ დაუყენებია და ვერც მის მნიშვნელობა უნივერსალობას ვერ მიმხვდარა, მას არავითარი უფლება არა აქვს მოგვაგონოს ჩვენ ეს კატასტროფა და რაღაცნაირ შავნელ კონტრ-რევოლიუციურ და რეაქციით აღსავსე ზომებზე მიგვითითოს.

ამ მოსალოდნელ „კატასტროფას“ უმკლავდებოდა და უმკლავდება პროლეტარული რუსეთი, წარმატებით ებრძვის ის მის საბედისწერო მოვლენებს და უკვე აშკარა ნიშნებია იმისი, რომ მალე დასძლევს მას; და თუ ეს ასე მოხდება რუსეთის მასშტაბით, ცხადია, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა გამოხსნილია ამ გასაჭირიდან და მას მხოლოთ დროებით მოთმენა მოუხდება და მეტი არაფერი. ამისთვისაა ამ მხრით საჭირო საქართველოსთვის რუსეთთან მჭიდრო კავშირი და არა პირიქით რუსეთისათვის — საქართველოსთან, როგორც ეს ყველა ჯურის ჩვენს შინაურ მტრებს ჰგონიათ!

რაც შეეხება ამონაწერის უკანასკნელ ფრაზებს, ამას ჩვენ აქ არ შევეხებით, ეს სულ სხვა ორგანოს კომპეტენციაში შედის და დეე მას მიეწოდოს.

2. დებულება ბრალდება **მეორე**... „წინააღმდეგ სტალინისა მე არა მაჯერა, სწერს გაზეთი, რომ ქართველი ხალხის დღევანდელი პოლიტიკური თავისუფლება, ს. ხელწიფოებრივი დამოუკიდებლობა უდიდეს განსაცდელში არ იყოს. ...ქართველი ერი ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდა ...**ნამდვილ კომუნისტურ იდეალებს.** მაგრამ მას არ უნდა, იგი ვერ აიტანს, რომ ამ მაღალი იდეალების სახელით **ეროვნული თავისუფლება დაჰკარგოს და ვისიმე პოლიტიკური მონობის უღელი ხელ ხლა დაიდგას კისერზე ..“**

როგორც ხედავთ „ახალსხიველებს“, ამ სოციალ-დემოკრატიის ნაბოლარებს, გადაგვრიგულ მენშევიკებს, არა თუ მარტო ამათ, არამედ ყველა ჩვენს ნაციონალისტებს, **არა სჯერათ ამხანაგ კობა ჯუღაშვილის** (სტალინის) წინააღმდეგ, არა მარტო სტალინის, არამედ მთელი კომუნისტური პარტიის, რომ საქართველოში საბჭოთა რესპუბლიკა ნამდვილი კომუნისტური იდეალებისათვის დაარსდა; პირიქით მათი აზრით ამ აქტით, საქართველოში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებით ქართველ ხალხს ვილასაც პოლიტიკური მონობის უღელი კისრათ დაეწვა და ამნაირათ ის დაპურობილ დამონებული ერი შეიქნა.

რა ვუწოდოთ ასეთ ბრალდებას, სრული გაუგებრობა - უვიცობა, თუ განზრახ კონტრრევოლიუციონური მიზნით შეთხზული ცილის წამება?

უვიცობას ვერ ვუწოდებთ, რადგან ყველგან და ყველაფერში ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკვიან ეს ვეებატონები, რომ ისინი იცნობენ კომუნისტურ ლიტერატურას! თან ციტატებით ავსებენ თავიანთ ნაწერებს აბზ. ლენინის ბროშურებიდან და უნდა დაუჯეროთ, რომ ისინი ამ ნაწერებს „გეზულობენ“, მაგრამ, ცხადია, არა ისე, როგორც საჭიროა, არამედ „თავისებურათ“.

ბოლშევიზმის მთავარი დებულება ნაციონალურ საკითხში გვეუბნება: **კლასობრივი თავისუფლება ამყარებს ეროვნულ თავისუფლებას, მაშასადამე მეგრძოლი პროლეტარიატი, სადაც კი თავის დიქტატურას განახორციელებს, იქ ხალხს ეროვნულათაც გაანთავისუფლებს.**

ჩვენ ვამბობთ: საბჭოთა რესპუბლიკა, ეს ერთადერთი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ფორმაა პროლეტარულ დიქტატურისა და სადაც ის მყარდება იქ შეუძლებელია პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მონობა არსებობდეს ისე, ვით არ შეიძლება პროლეტარიატის ეკონომიური ბატონობის დროს, ე. ი. სოციალიზმის დროს ეკონომიური ექსპლოატაცია და მონობა იყოს. ყოველივე ეს დადებული კონცეპციაა, თეორეტიულათ ხწყობრია და ლამაზათ გამოთქმული, მარა სინამდვილეში ის სულ სხვა სახეს ღებულობს და თავის წინააღმდეგობით ხდება, გვეუბნებიან მოწინააღმდეგენი.

სად, რა ნაირათ? ჩვენ ამის საპასუხოთ პირდაპირ შეგვიძლია განვაცხადოთ რომ რევოლიუციის გამო ჩვენშიაც ისე შეილახა და შეილახება „ეროვნული თავისუფლება“ ვით საერთოთ შეილახა იგი „თავისუფლება“, როგორც დემოკრატიულ-ბურჟუაზიული თავისუფლება რუსეთში, სადაც „არ არსებობს არც წერის, არც კრების, არც აზრის თავისუფლება, არამედ არსებობს მუშათა და გლეხთა მტკიცე მაგარი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც თავიდან ბოლომდე ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას და **ფართებს ასხამს მშრომელი ხალხის სრულ თავისუფლებას.**

მაშ ასე, **თავისუფლებაც** არის და „თავისუფლებაც“. „ეროვნული თავისუფლება“, რომელსაც დასტირიან ყველა ნაირი ნაციონალისტები ჩვენში, საბოლოოთ გაქრა, გაქრა ის „დამოუკიდებლობაც“, რომელიც მენშევიკებმა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს, ხოლო 1921 წლის 26 მაისს საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკამ სამუდამოთ დასამარა.

სამაგიეროთ ამ დღიდან ქართველმა მშრომელმა ხალხმა აღმართა **შრომის თავისუფლება**, მაშასადამე ქართველი ხალხის თავისუფლების დროშა, დროშა კომუნიზმისა და გამოაცხადა **სრული დამოუკიდებლობის** ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისაგან, ხოლო **მჭიდრო, ამხანაგური კავშირი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან.**

აქედან—ვინც წინააღმდეგია და მტერია ასეთი ამხანაგური რჩ დრო კავშირისა, ის შეურიგებელი მტერია და მოღალატე ბურჟუაზიისგან სრული დამოუკიდებლობისა, ის უარმყოფელი და გამყიდველი იუდაა ნამდვილი თავისუფლებისა.

საბჭ. საქართველოში

გრუკავროსტას დეპეშები.

სახალხო სწავლა-განათლება თფილისის მაზრაში.

თფილისის მაზრის გლეხთა ახალხან შემდგარ რაიონულ ყრილობაზე სამაზრო რევკომის სწავლა-განათლების განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია სახალხო სწავლა-განათლებას. სამაზრო რევკომის სწავლა-განათლების უახლოეს მუშაობის გეგმა შემდეგია: საბავშო მოხსენების გამართვა, 4—8 წლიან ბავშვთათვის დიდ სოფლებში წარმოდგენების და კინემატოგრაფის მოწყობა, შემოდგომისათვის კი გარდა არსებული სკოლების, მათი რიცხვის გადიდება—ორგანიზაცია საბავშო თავშესაფარებისა, თეატრისა, ლექციებისა და სხვ. საბავშო მოედნები უკვე არსებობენ ასურეთში, ალულადში, მანგლისში, თოხდაურში და განზრახულია მათი დაარსება საგარეჯოში, აღჯალაში, დიღომში და სხვა ადგილებში. საგარეჯოში, კუპისში და მარტყოფში უკვე გახსნილია სკოლები წერა-კითხვის უცდინართა სალიკვიდაციოთ. განყოფილების განკარგულებაში იმყოფება საკუთარი სათეატრო დასი რომელიც უკვე მოქმედობს ყარაიაზში, ხაშურში და დაივლის მთელ მაზრას. აღრიცხული იქნა მანგლისისა, ალუალადასა და საგარეჯოსი და დიღომის თეატრები და აგრეთვე მანგლისის და საგარეჯოს სამკითხველოები. არის აგრეთვე კინო ავტომობილი აგიტატორით, რომელიც იგზავნება ასურეთში, და დიღომში. მანგლისში მუდმივი სალექტორო ორგანიზაცია. ამგვადად უმთავრესი ყურადღება ამ ჟამად მიპყრობილია პოლიტიკურ განათლებისა და სწავლა-განათლების საქმისთვის.

ბათომი. (დეპეშა) ბათომის სასურსათო ორგანოებმა სოფლის საქონელზე გადასაცვლელად დაამზადა 2500 ფუთი სიმინდი. სიმინდი მომარაგებულია ხოფაში. იქიდან მის გადმოსატანათ მიღებულია სასწრაფო ზომები.

გადასწყდა ფიზიკურათ მომუშავეებმა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წარმოებებში მომუშავეთ მიეცეს გადიდებული ულუფა 1 ნახევარი გირ. პური და სხვა სანოვაგე.

რევკომმა დაადგინა: შესდგეს კომისია იმის გამოსარკვევათ, თუ რომელი მაღაზიები უნდა დაეთმოს საბჭოთა დაწესებულებებს. უნდა აღირიცხოს უცხოელთა ყველა სასტუმროები, იმ პირობით, რომ იქ ჩასახლონ მხოლოდ საბინაო განყოფილების ორდერებით ჩამოსულები. მჭიდროთ უნდა მოხდეს ჩასახლება სარკინისგზო ბინებში, ხოლო ვისაც რაიმე კავშირი არა აქვს რკ. გზის სამსახურთან, უნდა იქნას იქიდან გადასახლებული.

სახ. მეურნ. საბჭომ გადასწყვიტა ბათომის თამბაქოს ფაბრიკებში დაგროვოს 300 ტომარა თამბაქოს ფხვნილი და დაამზადონ მისგან თამბაქოს ექსტრაქტი მევენახეებისათვის და სასოფლო მეურნეობისათვის.

საფინანსო განყოფილების ბრძანებით გადასახადთა საინმართველო შეუდგა ვაჭრები აგან გადასახადებისა და 1920 წლის ნედოიმკების აკრეფას. გადასახადი იკრიფება ძველი ნორმის მიხედვით.

ოსეთიდან მოვიდა 11 ბატორიანი ალნიანი გემი მანუფაქტურის ფქვილის, შაქრის ყავის, ლიმონის, თამბაქოს, თეთრი თუნუქის, ხახვის, ფორთოხლის, ჩაის, ბრინჯის, ლობიოს, საღებავების, კართოფილის, შეკერილ ტანსაცმლის, ხელსახოცების და ჩულქების ტვირთით.

ქუთაისი.

ქუთაისი. 22 ივნისი. (დეპ.) 20 ივნისს ქ. ქუთაისში მრავალრიცხოვან მიტინგ კონცერტზე, რომელიც მოაწყო მთავარ პოლპროფვეტის სამხედრო განყოფილებამ, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ წითელ არმიელებმა ქართული № პოლკის და № დივიზიის ნაწილების და სადარაჯო პოლკისა, მოვისმინეთ რა პოლკოვნიკი გაბუნიას და პროლეტარული მგოსანი ტანდიტის მოხსენება, უგზავნით მხურვალე პროლეტარულ სალამს

III კომინტერნისას, რომელიც შეკრებულია მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის სატახტო ქალაქში, წითელ მოსკოვში. ჩვენ გვწამს რომ დიდი სახელოვანი ბრძოლა მსოფლიოს რევოლიუციონური პროლეტარიატისა, III ინტერნაციონალის წინამძღოლობით, დამთავრდება გამარჯვებით მსოფლიო ბურჟუაზიისა და მის დამქაშებზე.

ძარს ყვითელი გამცემი II ინტერნაციონალი. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის შტაბს III კომ. ინტერ. და მის ბელადებს.

ახალ-ქალაქი.

ახალქალაქში. 17 ივნისი. (დეპეშით). უკანასკნელ დროს მოსულმა წვიმებმა კარგი გაგლენა იქონიეს მოსავალზე. გლეხები იმედიანათ შეჰცქერიან მომავალს. მოსავალი საშუალოზე უკეთესია.

კოჯორი

კოჯორი. 26 ივნისი (დეპეშით) ივნისის 19 კოჯორში მოხდა კოჯორის რაიონის უპარტიო გლეხთა დელეგატების კრება. კრებას დაესწრნენ თბილისის მაზრის რევკომის თავმჯდომარე ამხ. მგელაძე, კომპარტიის თბილისის კომიტეტის წარმომადგენელი და ადგილობრივ რევკომის წევრები. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს კოჯორის რაიონის რევკომის თავმჯდომარე ამხ. კორინთელი. მომხსენებელ მომენტის, რევკომის კონსტრუქციის სახალხო განათლების შესახებ და მიწის საკითხის შესახებ წაკითხულ მოხსენებათა შესახებ, კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ კოჯორის რაიონის უპარტიო გლეხთა დელეგატებმა, მოვისმინეთ რა ამხ. მგელაძის მოხსენება, შევიგნეთ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელს კომპარტიას შეუძლიანთ გამოიყვანონ კაცობრიობა იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ჩაგდო ბურჟუაზიამ და მისმა დამქაშებმა. მხოლოდ მუშურ-გლეხური ხელისუფლება ზრუნავს ყოლაიბეს გლეხებზე. მივესალმებით საქართველოს კომუნისტურ მთავრობას და მის თავმჯდომარეს ამხ. მახარაძეს და ვპირდებით, რომ მთელ ჩვენ ძალ-ღონეს მოვახმართ საბჭოთა ხელის-უფლების განმტკიცებას და პირველ დაძახებაზევე გამოვალთ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის დასაცავათ“.

ალგულალი.

ალგულალი. 2 ივნისი. (დეპეშ.) ივნისის 20 ს ალგულალში სახალხო განათლების გამგის ამხ. მაიოროვის თანდასწრებით გაიხსნა საბავშო მოედანი. სამზეოზულო თეატრის სცენა მორთული იყო ყვავილებით და მცენარეებით. ყაყაჩოებისაგან იყო გაკეთებული წითელი ვარსკვლავი, მოედნის გახსნის წინ ბავშვებმა იმღერეს ინტერნაციონალი. რაი რევკომის სახელით მისალმების სიტყვა წამოსთქვა ამხ. მაიოროვმა. რომელმაც აღნიშნა, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხის თავისუფლების დროს შეიქნა შესაძლებელი რაიონში 3 რვალი საბავშო მოედნის გახსნისა. შემდეგ ბავშვებმა დასდგეს პატარა პიესა, წარმოსთქვეს ლექსები და სხვა: დღესასწაული დამთავრდა საბავშო ინტერნაციონალის სიმღერით. მოედანზე ასამდე ბავშვი ჩაეწერა.

აფხაზეთში.

აფხაზეთის რევკომის ახალი შემადგენლობა.

სოხუმი. 16 ივნისი. გამოქვეყნებულია ახალი შემადგენლობა აფხაზეთის რევკომისა: თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. ეშბა, მოადგილეთ ამხ. ლაკობა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრათ ამხ. აგნიევი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისრათ ამხ. ხოროშევი, სამეურნეო სახალხო კომისრათ, რევკომის წევრი აკირტავა, რომელიც ინიშნება სრულუფლებიან წარმომადგენლად საბჭოთა რესპუბლიკებში საქართველოსა, ადერბაიჯანსა და სომხეთში. ჩეკას თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. დომენია.

სამ ურნეო აპარატის გამარტივება.

სოხუმი. 16 ივნისი. (ტელ.). აფხაზეთის რევკომმა დაადგინა შექმნას სახალხო მეურნეობის კომისარიატი, რომელიც შესდგება შემდეგი განყოფილებისგან: სამრეწველო, მიწათმოქმედების, სასურსათო, საფინანსო, საგარეო სავაჭრო, სტატისტიკური, შრომის და მიმოსვლისა, განყოფილებები: ქ. სამეურნეო და სატრანსპორტო, რომელიც იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის განკარგულებაში. გადაეცემა აფხაზეთის სახალხო სამეურნეო კომისარს, აგრეთვე ხდება რეორგანიზაცია დანარჩენ კომისარიატებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შევლენ: იუსტიციის მართველობა, საგანგებო კომისიები, და სახალხო კავშირი, ამისათვის ხდება რეორგანიზაცია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის და ჩეკასი. სახალხო განათლების კომისარიატში შევლენ: სახალხო განათლების და პოლიტიკური განათლების განყოფილებები. არსდება ერთი კომისარიატი ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფისა. ამის დამიხედვით ამარტივებენ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და რევოლიუციონურ ტრიბუნალს, რომლებიც პირდაპირ დაექვემდებარებიან აფხაზეთის რევკომს. რევკომის შემადგენლობა დადდება 5 წევრამდის, რევკომის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ყველა სახალხო კომისრების მუშაობას. სამეურნეო სახალხო კომისარიატში, შინაგან საქმეთა კომისარიატში და სამხედრო სახალხო კომისარიატში შეიქმნა ერთ პროვინციული მართვა, მხოლოდ დანარჩენ სახალხო კომისარიატში რჩება კოლეგიალური მართველობა. სამეურნეო სახალხო კომისარიატთან არსდება ეკონომიური თათბირი სხვა და სხვა სამეურნეო კითხვების გასარჩევათ.

საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები.

უცხოეთის მუშები—შრომის გმირებს.

მოსკოვი, 23 ივნისი. (რადიო). შრომის გმირთა პატივსაცემად გამართულ კრებაზე მისალმებით გამოვიდნენ უცხოეთის მუშები. ავსტრიელმა მეალითონემ შმიდტმა განაცხადა: „მე ჩამოვედი, რომ როგორც მეალითონე, მივესალმო რუსეთის მეალითონეთ და ხელი გაუწოდო მათ. შოტლანდიელმა მუშამ ტომკელსმა თქვა: „ბურჟუაზია, რომელიც ჩვენში ძალაუფლებასიან სდგას (დამახინჯებულია)... ბურჟუაზია მოითხოვს სამუშაოს თავის გასამდიდრებლად კაპიტალისთვის. კაპიტალის გაკოტრება დაფარულია პატრიოტულ ყალბუნებით (დამახინჯებულია)... აქ, პროლეტარულ სახელმწიფოში, მუშათა კლასი მოუწოდებს ყველას: იდექით მტკიცეთ და ერთსულოვნათ და მთელი ძალღონით შეინარჩუნეთ ომის დროს დანგრეული მუშათა მეურნეობა. მისი ნაყოფი გვერგება არა მარტო ჩვენ, (დამახინჯებულია). შვეიცარიის წარმომადგენელი გრიგერიციანი ამბობს: „მის გამო, რომ ბურჟუაზიულ შემთანხმებელი პრესაში სწერენ, ვითომდა, რუსეთში მუშებს ძალათი დევნიდენ საშუშაოთ, უნდა ეს ვეებატონები ჩამოვიყვანოთ აქ და დავანახოთ, თუ მუშათა კლასი როგორ მუშაობს თითონ“. დავბრუნდები თუ არა შვეიცარიაში, სთქვა გრიგერიციანმა, მე ყველას უამბობ ამ ზეიმს.

ლოზუნგები.

მოსკოვი. 19 ივნისი, (რადიო). საბჭოთა რუსეთის გულში შეიკრიბნენ მთელი ქვეყნის მშრომელთა რევოლიუციონურ მასების წარმომადგენლები, რომ მოილაპარაკონ და გამოსჭედონ იარაღი მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისათვის. გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა რევოლიუციას გაუმარჯოს მთელ ქვეყნის საბჭოთა ხელისუფლებას. (კავროსტ).

ფართე ინიციატივა.

მოსკოვი. 16 ივნისი, (რადიო). გადაწყვეტილია პირობების დადება კერძო პირებთან სურსათ-სანოვაგის დასამ-

დღეს ნოემერში:

განსაკუთრებული კომისიის დადგენილებით, მუშათა კლასისადმი ღალატისათვის 26 ივნისს დახვრეტილ იქნა ცნობილი კონტრ-რევოლიუციონერი მარკოზაშვილი.

გუშინ, 28 ივნისს ცეცხლმა შთანთქა რუსთაველის პროსპექტზე თბილისის სამაზრო რევკომის შენობა.

23 ივნისს მოსკოვში დ დი ზეიმით გახსნა კომინტერნის მეხამე კონგრესი. სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ზინოვიევმა-

ზადებლათ. ეკონომიურმა სათათბირომ ნება დართო ზოგიერთ წარმოებებს კერძო პირებისგან სამუშაო დაიკვეთოს. 4 მსხვილი ქარხანა ზედ მეტი მუშაობის დროს წარმოებისათვის უვარგის მასალიდან აწარმოებს რემონტს. ხელფასი სურსათით და ფულით ნატურალურ ფონდში შედის. (კვროსტა).

ბროზნის ნავთის სამრეწველოში.

ნავთის მთავარ კომიტეტის ცნობით 1920 წლის განმავლობაში ბროზნას ნავთის სამრეწველო რაიონში დაამუშავეს 47 მილიონი ფუთი ნავთი. ეს ციფრი აღემატება 1919 წლისას და თითქმის უდრის 1918 წლისას. მიმდინარე 1921 წელს განზრახულია დაამუშაონ 120 მილ. ფუთი. ეს ციფრი კი უსათუოთ აღემატება 1919 წლის 10 მილიონ ფუთით და თითქმის სარეკორდო 1917 წლისას. როცა დამუშავდა 107 მილიონ ფუთზე მეტი. მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში საწარმოვო დანიშნულება შესრულებულ იქნა შემდეგ რაოდენობით: იანვარში-35,6 პროც., თებერვალში 49,8 პროც. და მარტში—67 პროც. ამ რიგათ ინვრის აქეთ მარტის დამლევამდე წარმოება თანდათან მატულობდა.

რომ გაუმჯობესდეს სამრეწველო წარმოება და გადიდდეს მუშა მოსამსახურეთა შრომის უნარი, ბროზნის ნავთწარმოების ცენტრალური სამართველო შეუდგა დანგრერლ ბინების შეკეთებას. მუშაობა გამოცოცხლდა. საქმეში დიდი როლი ითამაშა კავკასიის შრომის არმიამ. მან აღადგინა საერთოთ 1000 კუპ. საჟ. მიწა.

წარმოების მუშაობას დიდათ აფერხებდა კვალიფიციურ მუშების, განსაკუთრებით ხეტყის სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა კვალიფიციურ მუშების უყოლობით დიდათ ფერხდებოდა წყლის საქაჩაოსი და წყალსადენის საქმე.

შაქრის მრეწველობის ექსპლოატაცია.

ვინაიდან შაქრის ბევრი ქარხნები მოთავსებულია ტორფის მადნეულობის ახლოს, და ვინაიდან ელექტრონის ენერგიაზე გადასვლით შესაძლებელია ამ მოკლე ხანში შაქრის მრეწველობის მოგვარება, შაქრის შრომის ცეკამ მოაწყო შაქრის მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან სპეციალისტებისგან შემდგარი კომისია.

მას დავალებული აქვს შაქრის ქარხნების ყოველ მხრივი გამოკვლევა და გაგება პირობების თუ რით იქნება შესაძლებელი მათი საელექტროფიკაციო წინასწარ სამზადის მუშაობის დაწყება.

კოოპერატიული ბირჟა ეკატერინბურგში

• შრომისა და თავდაცვის რწმუნებულმა ურალზე წინადადება მისცეს შეაჩერონ საქონლის გაცვლის ნებართვის მიცემა მუშების, ცალკე ჯგუფებისა და კოოპერატივებისათვის ურალზე. მუშების ცალკე ჯგუფების და კოოპერატივების წარმომადგენლებმა თავიანთი განცალკევებულ ერთ-ერთი შეჯიბრებულ გამოსვლებით შექმნეს პროდუქტების ფასების გიჟური ზრდა ხსენებულ რაიონში. უკანასკნელმა გარემოებამ აიძულა შრომის და თავდაცვის რწმუნებული შეექმნა ეკატერინბურგის კავშართან შემაერთებელი ბიური, რომელსაც ექნება კოოპერატიული ბირჟის ფუნქციები. ხსენებული კოოპერატიულ ბიუროს მიზნს შეადგენს ფასების გამორკვევა ბაზარზე და ნაყიდ პროდუქტების რეგისტრაცია (რაოდენობა, ფასები და ს.ხ.)

საგზვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

ანატოლიის ომის ლიკვიდაცია,

ნაუენი. 22 ივნისი (რადიო). „ტაიმსი“ იუწყება, რომ სმირნიდან მოსული ცნობებით ბერძნები თანახმა არიან ინგლისის და ამერიკის შუამავლობის საშუალებით მოახდინონ ანატოლიის ომის ლიკვიდაცია.

ვრანგელების ბედი.

ნაუენი 22 ივნისი. (რადიო) სანპაოლოს შტატმა ბრაზილიაში თანხმობა განაცხადა მიიღოს ყავის პლანტაციებზე სამუშაოდ 4000 კაცი ვრანგელის ყოფილი არმიის ჯარის კაცი და ოფიცრებიდან.

საბერძნეთი და რუსეთი.

ნაუენი. 26 ივნისი (რადიო). საბერძნეთის მთავრობამ მოსკოვს აცნობა, რომ იგი საბჭოთა რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება.

კაროლის გაძევება.

ბათომი. 22 ივნისი, (დეპეშით). გუნარის მთავრობის მდგომარეობა საბერძნეთში ძალიან ძნელია. საბერძნეთის ტახტზე კაროლის შემდეგში დარჩენის საკითხი მწვავე ხასიათს ღებულობს. მთავრობა ყოველდღე ღებულობს დიდძალ დეპეშებს, რომელნც თხოულობენ საბერძნეთიდან კაროლის გაძევებას და საბერძნეთის უწინდელი საერთაშორისო მდგომარეობის აღდგენას.

გერმანიის განიარაღება.

ბარენი, 22 ივნისი. (რადიო) ბრიტანიის კონფერენციის სხდომაზე ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ გერმანიის განიარაღების საკითხი საბოლოოდ გადაწყდა. მან სხვათა შორის ხაზგასმით აღნიშნა, რომ მტკიცე ზავი, და ევროპის წონასწორობის აღდგენა არ შეიძლება მანამდი, სანამ არ იქნება გადაწყვეტილი ლიტვის, პოლონეთის და ზემო სილეზიის საზღვრების საკითხი და სანამ არ იქნება უზრუნველყოფილი ოსმალეთის ზავი.

კომუნიზმი საფრანგეთში

პარიზი საფრანგეთის კომპარტიის ადმინისტრატიულ კომისიაში ფროსარმა მოხსენება გააკეთა პარტიის მდგომარეობის შესახებ. რეგისტრაციაში გატარებულია 130,000 წევრი პარტიის, რომლებსაც უკვე დაურიგდათ პარტიული ბარათები. პარტიას უკვე აქვს 95-მდე ადგილობრივი განყოფილება, რომელშიაც ყოველ მათგანში ირიცხება წევრთა შესაჩნევი რიცხვი. პარტიას აქვს 5 გაზეთი, ამას გარდა კიდევ 2, რომელიც კვირაში გამოდის ორჯელ. პარტიული კასსა საუცხოვო მდგომარეობაშია.

უგედურება ვესტფალიაში.

ნაუენი 22 ივნისი. (რადიო). გაზის აფეთქების გამო (გამოტოვებულია). ვესტფალიის მაღაროებში მოხდა საშინელი უბედურება. აფეთქების დროს მიწის ქვეშ იმყოფებოდა 12 ათასი მუშა. ამ ქამდე მხოლოდ 79 კვდარი და 75 მძიმეთ დაჭრილი მუშის ამოყვანა მოასწრეს. ... 9 გარდაცვალა.

ნორვეგიის პროლეტარიატის სიმტკიცე.

მოსკოვი 19 ივნისი (რადიო). მეორე კვირაა რაც ნორვეგიაში საყოველთაო გაფიცვა მშვიდობიანათ გრძელდება, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიციამ, გაფიცვის პირველ დღეს საშინლად სცემა ბევრ სრულიად უცხო პირებს მათ რიცხვში მოხუცებულებს, ქალებსა და მახინჯებს. მთავრობამ მობილიზაციით გაიწვია ყველა საომედო ჯარები, რომელთაც ერთგულად ეხმარება ბურჟუაზიის შვილთა დამცველი რაზმები.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ნაუენი. 22 ივნისი (რადიო) ნიკოლოზ ბუხარინმა მიმართა რა კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესის დელეგატებს, რეველში, აღნიშნა, რომ ხალხთა ხელისუფლებას გაჰყავს ცხოვრებაში ეკონომიის ახალი პოლიტიკა, რომელიც აშენებს რუსეთის პოლიტიკურ ეკონომიურ მოვლენებს და ახსნა პრინციპი, რომელიც აღფრთოვანებს ბოლშევიკებს. ბუხარინმა აღნიშნა, რომ რევოლიუციის უწინდელი გეგმა გულისხმობდა, რომ სოციალისტურ რევოლიუციას მივყავართ ძველი კაპიტალისტურ აპპარატის სრულ განადგურებამდე. პროლეტარული რევოლიუციის დროს, სთქვა ბუხარინმა, ჩვენ არა მარტო უნდა გადავაკეთოთ სახელმწიფოს მანქანა, არამედ სრულიად უნდა გადავახალისოდ წარმოების ურთიერთობა. მაგრამ რა არის ეკონომიური დამოკიდებულება კაპიტალისტური სისტემის დროს. ეს არის კაპიტალისტური ანარქია.

სოფლეში სდგას წარმომადგენლებს კლასი, მერე მიჰყვება დირექტორები, შემდეგ ტექნიკური ექსპერტები და შემდეგ მხოლოდ დახელოვნებული მუშები და ბოლოს უბრალო მუშები. ეს რიგი და თვით სისტემა ამ დამოკიდებულებისა უნდა შეიცვალოს. თუ კი პროლეტარიატი თავის ხელში შეინარჩუნებს ეკონომიურ აპპარატს, მან ყველაზე უწინ უნდა მოსპოს უწინ არსებული ჯგუფების დანაშაულის ხასიათის შედეგები.

მაგრამ ეს აუცილებლად მაგვიყვანს ძველი ეკონომიური ურთიერთობის დანგრევამდე. ამასთან არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოიწვევს ტრანსპორტის დახურდავებას, კრედიტის დაშლას, წარმოების დაცემას და ბოლოს მიგვიყვანს ეკონომიური შევიწროებისა და ტანჯვამდე. ბუხარინმა შემდეგ ისიც აღნიშნა, რომ ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა რევოლიუციაზე, რადგან დაშალა მწარმოებლების კრიგები: საუკეთესო მუშები გამოყენებულ იქმნენ ადმინისტრატიული მუშაკებათ სოფლებში. უარესი ელემენტები კი დარჩნენ ფაბრიკებში. მაგრამ ამავე დროს გლეხობამ, ეკონომიურის თვალსაზრისით დიდი მოგება ნახა. მუშებზე უფრო უპირატესობის მქონე კლასად სჩანს გლეხობა. ყველას ცოტათ თუ ბევრათ გაანაწილებულ გლეხს მშვენივრად ესმის პოლიტიკა და ამიტომ მათ მოითხოვეს თავისუფალი ვაჭრობა. კომუნისტებმა, რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა დაუჭიროს მხარი პროლეტარიატის დიქტატურის და მუშურ-გლეხური ხელისუფლების იდეას მანამდე, სანამ საბჭოთა ხელისუფლება არ აღადგენს სახელმწიფო მანქანას, მანამ მას არ შეუძლია საბე მარჯვნივ მოაბრუნოს. ამიტომაც არ შეიძლება დაშვებულ იქნეს შესაჩნევი პოლიტიკური ან ეკონომიური დათმობა.

კომინტერნის მე-3 კონგრესი.

მოსკოვი. 23 ივნისი. დიდი თეატრის დარბაზი გაჭედილია ხალხით. პარტერში და ლოჟაში სხედან კონგრესის დელეგატები, ზემო იარუსებში კი მოსკოვის პროლეტარიატის წარმომადგენლები. დელეგატები ერთი მეორეს შთაბეჭდილებას უზიარებენ. გაისმის ყველა ევროპიულ და აზიის ენებზე ლაპარაკი. ესტრადაზე გამოდის კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ამხ. ზინოვიევი, რომელიც მესამე კონგრესს გახსნილად აცხადებს. პირველ სიტყვას ამბობს თვით ზინოვიევი, რომელ სიტყვასაც იგი უძღვნის კომუნიზმისთვის ბრძოლაში დაღუპულთ.

ამხანაგ ზინოვიევის სიტყვა.

დაღუპულთა ნაცვლად მზათაა ახლები.

ამ ახლო ხანში ბერლინში, სთქვა ზინოვიევმა,—ამას წინეთ დასაფლავეს ამხანაგი ზილტი; და ოსმალეთში დაიღუპა ოსმალელი მეტად აქტიურ კომუნისტების მთელი ჯგუფი; ლატვიელ თეთრ გვარდიელებმა დახვრიტეს რამოდენიმე ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, იტალიაში დღე არ გავა, რომ ტერორი არ მოხდეს, გერმანელ ამხანაგებმა მარტის დღეებში დაჰკარგეს მრავალი ასი ამხანაგი. არის მსხვერპლი მეორე კონგრესის წევრთა შორის. დაიღუპა ჯგუფი ფრანგ-ბერძენ ამხანაგებისა, რომლებიც ბრუნდებოდნენ ბურჟუაზიის კორდონით. (მათ ხსოვნას კონგრესმა ფეხზე ადგომით პატივი სცა.) ჩვენ უფრო გავძლიერდით, თუმცაღა კომუნისტურ მოძრაობის მტერნი უკეთებენ რა ჯამს იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის და გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციონურ გამოსვლას, ჰგონიათ, რომ ვითომ კომუნისტურ ინტერნაციონალმა განიცადა დამარცხებაო, პირიქით ჩვენა გვგონია, რომ ასეთი მოვლენა აუცილებელია: მათგან შესდგება მუშათა კლასის ბრძოლის ჯაჭვი. ასეთი მოვლენებს რუსეთშიაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ აქ ბოლოს და ბოლოს რევოლიუციონურმა მოძრაობამ მაინც გაიმარჯვა.

გასულ წელს წარმოებული ბრძოლა—ესაა უეჭველი წინსვლა.

კაპიტალიზმი განიცდის მძიმე კრიზისს. ევროპა და ამერიკაში უმუშევართა რიცხვი მილიონობითაა. ინგლისის მეშაღაროეთა გაფიცვა გასაოცარია თავის მედგრობით და შეუდრეკელობით, მიუხედავად მეთაურთა მოღალატეობისა.

ეს გაფიცვა უკვე კარგი დიდი ხანია გრძელდება. დღეს ჩვენ მივიღეთ ცნობა იტალიაში ახალი გაფიცვების შესახებ. ბავარიაში ამას წინეთ მოხდა სამი დღის საყოველთაო გაფიცვა. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი პარტიები დიდათ გაიზარდა. შრშან საფრანგეთიდან აქ წარმოდგენილ იყო მხოლოდ მცირედი ჯგუფი: წლეულს კი 120 ათასი კაცია აქ წარმოდგენილი. თავის დელეგატების სახით. ჩეხო-სლოვაკიიდან აკრეთვე რამოდენიმე დელეგატის მაგივრათ ეხლა ჩვენ წინ ვხედავთ 400 ათასი შეკავშირებულ ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტების წარმომადგენლებს. ინგლისისა და ამერიკის კომუნისტურმა პარტიებმა მოახდინეს გაერთიანება, რომელმაც განამტკიცა ძალი ამ ჟამათ, თეთრ ტერორს არ ძალუძს ჩვენი პარტიის მოსპობა და შეურყეველი მისი ზრდის შეჩერება. იტალიელ სოციალისტების შარშანდელ წარმომადგენლების ნაცვლათ წელს აქ, ჩვენ შორის იმყოფებიან იტალიის ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები. ჩვენთვის უკვე თესია, რომ ჩვენ განთავისუფლდით ცენტრალისტური მეთაურებისაგან, შორს არაა ის დრო, როცა იტალიის ყველა მუშები იქნებიან ჩვენს რიგებში. შაოშან ჩვენთან ჩამოვიდნენ გერმანიის დამოუკიდებელთა წარმომადგენელნი. ისინი სცდილობდნენ ჩვენთან შემოერთებას ზიგნიდან საბოტაჟის მოსახდენათ. ჩვენ ასეთ თანამშრომლობაზე უარი განვაცხადეთ. მაშინ მათ შეადგინეს ორნახევარი ინტერნაციონალი, რომლის გარშემო თავი მოიყარა ყველა მერყევმა ელემენტებმა ამახ ჩვენ სრულებით არ უნდა დაგვაღონოს. რა დაემართა ამ წლის განმავლობაში მეორე ყვითელ ინტერნაციონალ? მეორე კონგრესის დროს კიდევ საეჭვო იყო მისი დაღუპვა. ეხლა კი მეორე ინტერნაციონალის ბედს ერთობ გარკვევით ახასიათებს მისი თავმჯდომარის ტომასის ბედი. მემაღაროეთა გაფიცვის დროს მახ უღალატა გაფიცულთ და რომ თავი დაეხსნა შურის ძიებისაგან, ამერიკაში გაემგზავრა, მაგრამ იქ მას ამერიკის მუშები მტრული დემონსტრაციით შეხვდნენ. წითელ პროფკავშირთა საერთაშორისო საბჭომ უკვე გაერთიანა თავის გარშემო 15 მილიონი მუშა.

(დასასრული იქნება)

მოწოდება საქართველოს მშრომელ ქალების 1 ყრილობიდან აღმოსავლეთის ყველა ქალს *).

ჩვენ, მშრომელი ქალები წითელი საქართველოსი, შევიკრიბეთ რა ქ. თბილისში პირველ უპარტიო ყრილობაზე, მხოლოდ ახლა, როცა ხელისუფლება მოღალატე მენშევიკების დამხობილია და გამოცხადებულია მშრომელი ხალხის ხელისუფლება, მოგმართავთ თქვენ, ჩვენი მხურვალე მოწოდებით.

ძვირფასო დებო, დადგა უდიდესი ისტორიული მომენტი კაცობრიობის ისტორიაში, მომენტი მძიმე ბრძოლისა მთელი მსოფლიოს მშრომელის თავისი მჩაგვრელების და დამმონაველების წინააღმდეგ. ამ ბრძოლით ინგრევა კაპიტალისტური უღლის ყველა საძირკველი. ტანჯვაში იბადება ახალი კომუნისტური წესწყობილება თავისუფლების სამეფო და კაცობრიობის ბედნიერება. ბრწყინვალე ალად ანათებს მუშათა და გლეხური რევოლიუცია რუსეთში.

კიდით-კიდემდე, ზღვის გაღმა, ტყესა და მთებს სცილდება ანათებული სხივები უძლეველი ცეცხლის და აღანთებს მაშვრალთ გულს მთელი ქვეყნისასა. ყველა დაღალული, ნაწამები მონა, კაპიტალისტური წესწყობილების მიერ, ყველა დამორჩილებული დამონებული ერი, თვალყურს ადევნებს რუსეთის მუშების და გლეხების დიად ბრძოლას, რომლებსაც თვის ძლიერ ხელში უპყრავთ მსოფლიო რევოლიუციის მთელი კაცობრიობის განმათავისუფლებელი წითელი დროშა და იზრდება მებრძოლი რაზმი მე-3 ე კომუნისტური ინტერნაციონალისა.

დღეიდან ჩვენც საქართველოს მშრომელი ქალები, ვაცხადებთ ჩვენი პირველი ყრილობის სახელით, რომ მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლებაა ნამდვილი ხელისუფალი, რომელიც ანთავისუფლებს ქალს დაჩაგრულ და დამონავებულ მდგომარეობიდან, მიჰყავს ქალები ახალი ცხოვრების თავისუფალ შემოქმედებისაკენ. მხოლოდ კომუნისტური პარტია, რომელიც დღეს მთელ ქვეყანაზე აწარმოებს ბრძოლას მშრომელი ხალხის ინტერესებისა. ჩვენ, საქართველოს მშრომელი ქალები, განთავისუფლებულნი დღეიდან საბჭოთა მთავრობის მიერ, ყველა, როგორც ერთი, ფიცსა ვდებთ, ვაწარმოოთ ბრძოლა ყველა მტრების წინააღმდეგ, რომელიც განიზრახავს საბჭოთა მთავრობის დამუქრებას და დავდგებით მის დასაცავათ სადარაჯოზე, თუ ამას მომენტი მოითხოვს. აღმოსავლეთის ქალო, დაიმახსოვრე, შენი განთავისუფლება მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლიან. შენი მფარველი მხოლოდ კომუნისტური პარტია არის. აღმოსავლეთის ქალო! საუკუნოების განმავლობაში მონავ, გაღლეიძე, დადგა საათი შენი განთავისუფლებისა. წამებულო, დღემდე ადამიანურ თავისუფალ ცხოვრების მოკლებულო, ჰაერის თავისუფლად სუნთქვის მოკლებულო, ჩადრში გახვეულო, ჰარემხანაში ჩამწყვდეულო, ადამიანის ყოველგვარ უფლება აყრილო, შენ, რომელიც მძიმე შრომისაგან, უვიცობით, სიბნელით დამონებით დაღუპვის კარამდე იყავი მისული, შენ დღეს გაქვს შეძლება, მოიშორო საუკუნო მონობის მძიმე ტვირთი და ახალი თავისუფალი ცხოვრების გზას დაადგე.

წინ, ჩვენთან ერთად საკუთარი თავისუფლებისათვის დიადი ბრძოლისაკენ. წინ, ახალი თავისუფალი ცხოვრებისაკენ. ძირს ყველა ბორკილი, რომელმაც ხელფეხი შეგიბოჭათ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში. ძირს ჩადრი, ჩვენი მონობის სასირცხვო მოვლენა. ძირს გაუნათლებლობა, სიბნელეში, ცრუმორწმუნეობა, რომელშიც საუკუნობით ვიყავით ჩვენ. გაუმარჯოს ახალ თავისუფალ ცხოვრებას. გაუმარჯოს ჩვენს განთავისუფლებას, გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებას. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, მშრომელთა განმათავისუფლებელს. გაუმარჯოს მე III კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომლის მებრძოლი ალი დალეწს მთელი მსოფლიოს დამონავებული მასის ბორკილებს.

ყრილობის პრეზიდიუმი.

*) ამ მოწოდების დაბეჭდვა დაგვიანდა.

მთავროგის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 70.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, ამხ. ვარძელი განთავისუფლებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის თანამდებობიდან და დაინიშნა თფილისის ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. ივნისის 27.

თფილისი—სასახლე.

საქართველოს განსაკუთრებული კომისიის დადგენილება

ერეკვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩეკას კოლეგიის სხდომაზე 19 ივნისს 1921 წ. მოსმენილი იყო კონსტანტინე გიორგის ძის მარკოზაშვილის საქმე. მარკოზაშვილის დანაშაული შემდეგში გამოიხატა: სარგებლობდა რა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ნდობით და ეკავა მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პოსტი წითელი არმიის დივიზიის უფროსისა, დამნაშავე 1920 წელს კავკავში ადგენს დივიზიას აშკარა ტენდენციით, რომ დივიზიასთან ერთად ეღალატნა საბჭოთა მთავრობისათვის და გადასულიყო მენშევიკების მხარეზე. რომ უფრო ადვილად შეესრულებინა თავისი საზიზღარი განზრახვა, მარკოზაშვილი ჰკრეფს დივიზიაში პოლიტიკურად არა საიმედო და სულიერად ბოროტმომქმედ ელემენტებს. ავანტიურა დროზე აღმოჩენილი იქმნა, დივიზია დაშლილი, მაგრამ დამნაშავემ აიცდინა მუშათა და გლეხთა მთავრობის მსჯავრი გაქცევით. მან გაიტაცა დიდძალი სახალხო ფული და ტყეში იმალებოდა, სადაც ის შეპყრობილი იქმნა. კავკავიდან კავ ფრონტის განსაკუთრებულ განყოფილებაში გადაყვანის დროს ის ახერხებს გაქცევას და იმალება მენშევიკების საქართველოს საზღვრებში, სადაც ის შედის სამხედრო სამსახურში. მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მარკოზაშვილს ხელმეორედ იჭერენ. დღეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სამსჯავროს წინ წარსდგა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ჭკვა და დიდი ნდობა საბჭოთა მთავრობისა შეგნებულად გამოიყენა საზიანოდ დაჩაგრულ კლასის—მუშათა და გლეხთა—განთავისუფლების წმინდა საქმისადმი. თავისი ღალატით მას სურდა თვალები აეხვია მუშათა კლასისათვის და მის მოწინავე ავანგარდის—წითელი არმიისათვის უზომო ტანჯვა და განსაცდელი მიეყენებინა.

ადამიანი, რომელმაც შეგნებულად თავიდან აიცდინა მსჯავრი საზიზღარი გაქცევით მენშევიკების ბანაკში. ბოროტმოქმედება მარკოზაშვილისა იყო უდიდესი და საქ. განსაკ. კომისიის კოლეგიამ მიუსაჯა მას უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

განაჩენი სისრულეში იქმნა მოღვანილი ღამით 26 ივნისს 1921 წ.

ს. განსაკ. კომისია.

გრძოლა ეპიდემიასთან

დადგენილება № 36.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა ეპიდემიურ სენთან წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებო კომისიის დაარსების შესახებ.

ვინაიდან მეზობელ რესპუბლიკებში მეტად მძვინვარებს ხოლერა და შესაძლებელია რომ სენი საქართველოს ტერიტორიაზე იქნეს გადმოტანილ და გავრცელებული, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ხოლერისა და სხვა ყოველგვარი ეპიდემიური სენის წინააღმდეგ საბრძოლველად **საგანგებო კომისია**, ჯანმრთელობის სახალხო კომისარის **კუჭაიძის** თავმჯდომარეობით.

2. საგანგებო კომისიის ყველა დადგენილებანი სავალდებულოა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ყველა დაწესებულებათა და მცხოვრებთათვის.

3. ხოლერასა და სხვა ეპიდემიურ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველ **საგანგებო კომისიას** მიეცეს უფლება, თუ საჭიროება მოითხოვს, დაარსოს ადგილობრივ **რევკომებთან** შეთანხმებით, ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოველი სამაზრო და საქალაქო საგანგებო კომისიები.

4. წინადადება ეძლევა ჯანმრთელობის სახალხო კომისარს, დაარსოს საქართველოს რესპუბლიკის ყველა საზღვრებზე კარანტინი, საცა ეს საჭირო იქნება.

5. სრულიად შეჩერებულ ინდა იქნეს ლტოლვილთა საქართველოს საზღვრებში დაშვება.

6. სამხედრო ნაწილები დაიშვას რესპუბლიკის ფარგლებში, მხოლოდ ხოლერის საწინააღმდეგო წინაწარი აცრის შემდეგ.

7. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. ივნისის 28.

თფილისი—სასახლე.

ავალება ყველა ექიმებს როგორც სამსახურში მყოფთ, ისე, კერძო მომუშავეთ, რომ გადამდებ სენიან ავადმყოფისა მეტადრე ხოლერიანის აღმოჩენისას დაუყონებლივ აცნობონ ქალაქის სადეზინფექციო კამერას (აბასთუმნის და დროვანოის კუთხე, დეზერტირის ბაზრის გვერდით, ტელ. 72) ავადმყოფის გადასაყვანად და დეზინფექციის მოსახდენათ.

ამასთანავე საჭიროა შეტყობინება ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისათვის (განოვის ქუჩა № 22) სარეგისტრაციო ფურცლის საშუალებით მიღებულ წესით.

ქალ. ჯანმრთ. განყოფილება.

ბიულეტენი

12—24 ივნისამდე ხოლერით ავად გახდა 25 კაცი (მ თგანი 2 მოსული).

ᲙᲚᲕᲜᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲝᲕᲐᲜ ᲒᲔᲚᲐᲓᲐ ᲛᲘᲣᲮᲐ ᲪᲮᲐᲠᲘᲡᲐᲡ

შენ იქ იშვი ჩაგრულთ რაზმში, სადაც აზრი მქუხარებდა,
სადაც იყო კვნესა, ოხვრა, ვიში, ცრემლი, მწუხარება.
ცეცხლით გრძნობათ, ლტანვებით ჩააქსოვე შენ იქ ფიქრი.
ბრძოლის ჰაფავ ეკლიან გზებს, აღთქმის მხრისკენ მიხვალ, მიჰქრი.

სიკვდილი ყრმობის დღენი შენ შესწირე დიად საქმეს,
შენ ალაღე ხელთ მახვილი ბოროტების დასამხვრევად,
მაგრამ ღმერთის მსახურება არ დაგინდვეს, რა არა ჰქნეს,
ქოფაკები მოგისიეს დიად მიზნის დასანგრევად.

ციხე, დევნა სამშობლოდან, ცივ საკანში ობლად ჯდომა,
მწარე მოთქმა და ტირილი, ბრძოლის სულის იქ დაცხრომა,
მაგრამ ამან ვერ გაგტეხა კვლავ ინთები ისევ ძველად,
და კვლავ უხმობ დატანჯულებს, ტყვეობიდან დასახსნელად.

ევგენი ს. დოშვილი.

ქუთაისის ციხე 1919 წ.

---

13 ავადმყოფს ხოლერა ღმერთ ჩნდა ბაქტერიოლოგიურით. დანარჩენი საეჭვოა.

ჯანმრთელობის განყოფილება

რკინის გზებზე

კავკასიის რკინის გზები პეტროვსკი—დერბენდ-ბაქოს რაიონებში, ხოლერის აღმოჩენის გამო, გამოცხ დებულია ხოლერის მხრივ საშიშ მდგომარეობაში. ავადმყოფობის ლიკვიდაციისთვის გზათა უფროსმა მირონოვმა წინადადება მისცა. სადგურის უფროსებს: 1) სადგურის მიდამოებში დაიცვან სრული სისუფთავე, 2) მოკლე ხანში დაარსდეს მთელი გზის მანძილზე სანიტარული გასუფთავების კვირა. მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ რკინის გზელებმა და სხვა უწყებებმა, 3) დაიცალოს თევზეულით სავსე ვაგონები, 4) სისტემატიურად გაუკეთდეს დეზინფექცია ფეხის ადგილებს და ზარულებს; 5) სადგურებზე და მოსამსახურეთა ბინებზე უნდა იყოს გაცივებული ადუღებული წყალი, 6) გამოსჩენ ადგილებში გამოიკიდოს პლაკატები—არ დალიოთ აუდუღარი წყალი. 7) აიკრძალოს სადგურებს ხილეულობით და სხვა ნედლი სურსათით ვაჭრობა, 8) ხოლერით საეჭვო ავადმყოფების აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა შეატყობინონ მკურნალს, ავადმყოფი აღნიშნულ ალაგას გაიგზავნოს, 9) ექიმებს წინადადება ეძლევათ დაარსონ ხოლერის ბარაკები.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

(ნაწყვეტები).

მგზნებარე ცეცხლო, მსოფლიოს მანათებელო,—შენ დიდო, ზღაპრულო მოსკოვო.

მოსკოვო!—

დამყაყებული ძველი წესწყობილების აღმგველი! ახალი ქვეყნის შემქნელი, ახალი სიცოცხლის მომტანი—ეს ხომ შენა ხარ შეუდ ვენებელო, მშრომელი კაცობრიობის გამუდმებით მფეთქ ვოგულო.

მოსკოვო!—

მარტო ამ ერთ სიტყვაში რამდენ სიძულვილს, ბუქარას და შეურიგებელ მტრულ გრძნობებს ინახავ შენ მომაკვდავ, დღე დათვლილ მტარვალთა მიმართ!

მოსკოვო!—

და რამდენი სიტყვები მრავალ-მეტყველი აზრები, საამო განცდანი და სიხარულია მოთავსებული მარტო ამ ერთს შენ სახელ-წოდებაში ახალი ქვეყნის მომლოდინე მსოფლიოს მოზარდ შკილთათვის!

მოსკოვო!—

შენ ხარ რისხვა შრომის მსოფლიო მტერთა მიმართ, შენ ხარ ჩამწოლილი შავი ღრუბელი და მათი განადგურების მომასწავებელი, სიკვდილის წინამორბედი, მაგრამ შენვე ხარ ამავე დროს მოციმციმე ვარსკლავი, მშრომელი კაცობრიობის მოგიზგიზე ცეცხლი, სიყვარულით დამწველი მზე, რომელიც სულს უდგამს, ათბობს გაცივებულს, მძაფრი ცხოვრებისაგან გაყინულ-გათოშილებს!

მოსკოვო!—

შენ დღეს განაწამები, ტანჯულ გვემული: სიმშილით, სიტიტვლით, უსწორო ბრძოლით, გარს შემორტყმული ხარ დაუნდობელ მტრებით. ძმებს, მეგობრებს და თანამგრძნობით, მოწყვეტილი, მარტოთ მარტო, თავგანწირული ბრძოლას ეწევი უსწორო მძიმე პირობებში ძველი ქვეყნის ბატონ-პატრონთა წინააღმდეგ.—შენ გმირულად, პატიოსნათ შეასრულე საკაცობრიო წმინდა ვალი, შენ გადასჭერი მსოფლიოს წინ დიდი ხნით დაყენებული კაცთა ყოფნა არ ყოფნის საკითხი, შენ შესძელი არა მარტო საკუთარი არსებობა შეგენარჩუნებია,—არამედ წარმოშვი კიდევ და საკუთარ მკერდზე ზრდი უკვე მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ცეცხლს!

მოსკოვო!—

ხანგრძლივ სამოქალაქო ომის ხანებში დამანგრეველ და აღმაშენებელ მუშაობის პროცესში, აღბეჭდილი ისტორიულ გზის შენ მიერ ბრწყინვალედ განვლამ უკვე თვალები აუხილა ურწმუნოებს, მათ უკვე იცნეს და მიიღეს კიდეც შენგან გაწალდული ბილიკი, ახალი ქვეყნისაკენ შეუჩერებლივ მიმავალი; ისინი დაადგენ უკვე შენგან გაკაფულ-გაწმენდილ გზას!

მოსკოვო!—

და შენ ეხლა ხომ მარტო აღარ ხარ; მთელი დედა-მიწა, მშრომელი მსოფლიო.—ტანჯვა—მწუხარებით მგმინავი კაპიტალის მძიმე უღელ-ქვეშ,—იმედითა და განუზომელი სიხარულით აღვსილნი შემოგყურებს, შემოგცქერის შენ შორიდან და ელოდება მოწოდებას, უცდის ბრძოლის ნიშანს საუკუნოებით გაბატონებულ მტერ-მსოფლიო მტაცებლების წინააღმდეგ მიმართულს,—ძველი ცხოვრების გარდასაქმნელათ,—იმავ რევოლიუციონური, მიუკიბ-მოუკიბველი სწორი გზით, როგორც ეს შენ მოიმოქმედე შენი ძლევა მოსილი წინ მსვლელობით.

მოსკოვო!—

და ჩვენ,—საქართველოს შრომის შვილნი, საკუთარ ქვეყნის კლასობრივ მტერთა დაჩაგვრისაგან შენი ძმური დახმარებით განთავისუფლებულნი,—ამიერიდან ვიმყოფებ თ შენს ძლიერ მკლავზე დაყრდნობილი, მხოლოთ ერთი ფიქრით და სურვილით ვართ შეპყრობილი—იმით, რომ ღრმათ ჩავწვდეთ შენი ძლიერების საიდუმლოებას, შევისწავლოთ შენ მიერ უკვე შექმნილი საფუძვლები კაცთა ახალი ცხოვრებისა.

სევახტი მთიხპირელი.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ხე-ტყის დამზადება საქართველოში.

ხე-ტყის დამმზადებელ განყოფილების ცნობით საქართველოს ტყეების საერთო სივრცე უდრის 2,500,000 დეს., რომელთაგან გამოსადეგი ტყის სივრცე 2 მილიონი დესეტინაა. წელიწადში შეიძლება დამზადდეს 1 მილიონი საჟ., რომელთაგან საქართველოს დასჭირდება 700 ათასი საჟ. გარეშე ვაჭრობისათვის დარჩება სამასი ათასი კუბ. საჟ სათბობის მოთხოვნილება საქართველოში უდრის 680 ათას კუბ. საჟ, რომელთაგან სოფლის ხალხს სჭირდება 530 ათასი კუბ. საჟ. ქალაქის ხალხს 150 ათასი კუბ. ს. რკინის გზებს სჭირდებათ შპალებისათვის 12 ათასი კ. ს. ხე ტის სამზადებელ განყოფილებას მიზნათ ჰქონდა დაეკმაყოფილებინა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებნი, რკინის გზების მრეწველობა და გარეშე ვაჭრობის განყოფილების საჭიროებანი, ე. ი. მას უნდა დაეზადებინა 470 ათასი კ. ს. შეშა და საალმშენებლო ხე-ტყე. ვადის სიმოკლისა და მუშაობის დაგვიანების გამო განყოფილებამ გადასწყვიტა მხოლოდ მიზნის ნაწილის შესრულება, მაგრამ გარდა ამისა იყო კიდევ სხვა მიზეზები დაგვიანებისა, როგორც ფულის ნაშნების, იარაღის და, უმთავრესად საკვებ სურსათის ნაკლებობა. ხე-ტყის დამამზადებელი მუშები ყველგან არა მუშაობენ ფულზე და მოითხოვენ თავიანთ გასამრჯელოს ნატურით

დასახულ მიზნის განსახორციელებლად საქართველოს მთელი ტერიტორია გაყოფილია 13 დამამზადებელ რაიონად: 1) ჩრდილო ხეთისა, 2) სამხრეთ ხეთისა, 3) ფოთი-ქალაქიდისა, 4) აჯამეთ ვარციხისა, 5) ბაშურ-შორაპანისა, 6) ბორჯომისა, 7) საგურამო-მცხეთისა, 8) ყარაიაზისა, 8) ბორჩალოსი, 10) საგარეჯოსი, 11) ჩუმლაქისა, 12) თელავისა, 13) ალაზან-გალმისა.

ხსენებულ რაიონებში დანიშნეს საქართველოში ცნობილი სპეციალისტები. ამ ჟამად მუშაობა თანდათან იმართება.

ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲝᲒᲐᲨᲘ.

ხოშტარიას ქარხანაში.

სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებულმა ხოშტარიას ქარხანამ დაიწყო სასოფლო სამეურნეო იარაღის დამზადება, უმთავრესად № 1 და 3 გუთნებისა. განხრახულია სასწრაფოთ 50 გუთნის დამზადება. ქარხანაში მიიღება აგრეთვე შეკვეთა და სხვა და სხვა სამეურნეოთა დაწესებულებებიდან და სპილენძისა და თუჯისაგან ნაწილების ჩამოსახმელად.

ლითონის განყოფილების სახელოსნო-

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილებასთან არსებობს ეტლებისა და ნალის სახელოსნო. ამ სახელოსნოებში მზადდება და კეთდება მთელი საურმო ტრანსპორტი ს. მ. უ. ს. და აგრეთვე № არმიისა.

ლითონის დამამუშავებელ მრეწველობის მდგომარეობა.

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილება ამ ჟამად აგროვებს ცნობებს საქართველოს ლითონის დამამუშავებელ მრეწველობის მესახ ბ. საქართველოში ლითონის დამამუშავებელ მრეწველობის განყოფილების ნ ყოფ ერება მეტად გაიზარდა. განზრახულია მთელი ნედლი მასალა, რომელიც ეხება ლითონის დამამუშავებელ მრეწველობას, გადაეცეს სალითონო განყოფილებას.

თიანეთსა და ქუთაისში.

ამ ჟამად ქუთაისში არსებობს 3 საწარმოვო დაწესებულება: 1) მექანიკური სახელოსნო ძმ. შარაძეებისა; 2) მექანიკური სახელოსნო; 3) საავტომობილო სამჭედლო სახელოსნო. თიანეთში კი 4 საწარმოვო დაწესებულება: ელექტრონის სადგური, ხურო, მატორიანი წისქვილი და ხის დამამუშაველი სახელოსნო. თიანეთის ყველა საწარმოვო დაწესებულება შედის ადგილობრივ რევკომის უწყებაში. საერთო ხელმძღვანელობა ქუთაისის და თიანეთის საწარმოვო დაწესებულებისა ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფ ლების ხელშია.

ნედლი მასალა თამბაქოს ქარხნებისათვის.

საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო საწრაფო ზომები თამბაქოს ქარხნების საჭირო ნედლი მასალით უზრუნველყოფისათვის.

მუხის ქერქის დამზადება.

საბჭოს პრეზიდიუმმა დაბალთა განყოფილების განკარგულებაში გადალო 35 მილიონი მანეთი მუხის ქერქის დასამზადებლად.

ჰიდრო-ელექტრონის სადგური ხონში.

ჰიდრო ელექტრონის სადგურის მოსაწყობად ხონში გადადებულია 500 მილიონი მანეთი.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲔᲑᲡ

ს. ს. ს. რ. რევკომის თავმჯდომარის განკარგულებით ერთდროული დახმარების სახით სხვა და სხვა კულტურულ დარგში მოღვაწეებს ა. წ. 1 ლ მარტიდან 18 ივნისამდე მიეცათ 12,543,500 მანეთი.

აქვე მოგვყავს სია იმ პირთა, რომელთაც თვალსაჩინო დახმარება აღმოეჩინათ.

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲒᲔᲑᲘ:

1. ვ. აბაშიძეს — — — 350.000 მ.
2. ჩერქეზიშვილს — — — 160.000 მ.
3. საფაროვი-აბაშიძისას — 250 000 მ.
4. კ. ყიფიანს და მის ოჯახს 269.000 მ.
5. კ. შათირშვილს დასაკრ. 304.000 მ.
6. ნ. ჩხეიძეს — — — — 200.000 მ.
7. მესხიშვილის ქვრივს — 250.000 მ.
8. ვალ. გუნიას — — — 100.000 მ.
9. ზარდალიშვილს — — 100.000 მ.
10. ჭიაურელს — — — — 100.000 მ.
11. ეფ. მელს — — — — 150 000 მ.
12. ზალიპსკის — — — — 100.000 მ.

ᲮᲝᲛᲔᲚ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲒᲔᲑᲘᲡ

13. ტერდავითიანცი — — 100 000 მ.
14. ვართუი — — — — 100.000 მ.
15. ზაბელი— — — — — 100 000 მ.
16. არუთინიანც — — — 100.000 მ.
17. მაისურიანც — — — 100 000 მ.
18. ალიხანიანცი — — — 100.000 მ.

ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲔᲑᲡ

1. კლდიაშვილს — — — 200.000 მ.
2, ახოსპირელს — — — 250.000 მ.
3. ბარნოვს — — — — 250.000 მ.
4. ეკ. გაბაშვილს— — — 250.000 მ.
5. აზიანი-დანდუროვისას 300.000 მ.
6. გორონტი ქიქოძეს— — 200 000 მ.
7. ცეცხლაძეს— — — — 250 000 მ.
8. ევდოშვილის ოჯახს — 160 000 მ.
9. განდეგილს— — — — 100.000 მ.
10. შიო მღვიმელს — — — 100 000 მ.
11. ვარდოშვილს — — — 100.000 მ.
12. ანა'ტ. წერეთელი— — 100 000 მ.
13 რ. ფანცხ ვა — — — 100 000 მ.
14. ზაქარია ჭიჭინაძეს — — 100.000 მ.
15. ანასტასია ხოშტარიას — 100 000 მ.
16. ვიაზოვ-ვერიძეს — — 100.000 მ.

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲡ

1. ყარაშვილს — — — — 300·000 მ.
2. კარგარეთელს — — — 150.000 მ.
3. ნიკოლაძეს — — — — 250.000 მ.
4. ანნა სულხანიშვილს (ომოზიტ. ქვრივს) 100.000 მ
5. არაყიშვილს — — — 200.000 მ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲖᲔ. ᲣᲨᲘᲜ, 28 ივნისს, დაახლოვებით დილის 11 საათზე, სამხრეთ რევკომის დიდ შენობაში, ზედა სართულში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც, ძლიერი ქარის გამო, სწრაფად მოედო მთელ შენობას. მიუხედავად მიღებული ყველა ხომებისა, ცეცხლის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა დღის 1 ნახ. საათისთვის სახლის ორი ზედა სართული ჩამოიწვა. ცეცხლის ალაგას გამოიწვიეს სანხედრო ნაწილები, მილიცია და ბოისკაუტები. ცეცხლის არედ ახლობელი ქუჩები გარემოცული იყო ჯარებით. ცეცხლის რაიონში არავის უშვებდნენ. ქალაქის წყალსადენის დირექციამ მიიღო ზომები წყლის საკმაო რაოდენობის მოსაწოდებლად. ზოგიერთ ქუჩებს შეუწყვიტეს წყალი, რომელსაც მთლად აწოდებდნენ ცეცხლის ჩასაქრობად. წყ ლის მიწოდებას პირადად ხელმძღვანელობდა თვით დირექტორი. ცეცხლის გაჩენის მიზეზები ჯერ გამორკვეული არ არის.

ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲨᲘ. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში ყოველ დღე საშუალოთ უკანასკნელ დროს იღებენ 14 ათას ფუთს. უკანასკნელ ორ კვირაში გამოიღეს 264 ათასი ფუთი ქვანახშირი, გაგზავნეს 242 ათასი ფუთი.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ამა წლის 1 მაისიდან 1 ივნისამდე თბილისის ფოსტის კანტორამ მიიღო ადგილობრივი წერილები 11510 ფასიანი და 2214 უფასო; საერთაშორისო მიიღო 152,181 ფასიანი წერილი და 15420 უფასო. საერთაშორისო წერილი გაგზავნილია 119 525 ფასიანი და 12,190 უფასო.

ქუთაისის ფოსტის კანტორამ იმავე დროს გაგზავნა: 12,040 ფასიანი წერილი და 3568 უფასო.

ფოთის ფოსტის კანტორამ გაგზავნა: 10077 ფასიანი წერილი და 1475 უფასო. საერთაშორისო წერილი მიღებულია 221.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲐ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მოსამსახურეთა მიერ გამართულ კვირაობაში მონაწილეობას იღებდა 50 სული. იმუშავეს 5 საათი, შეასრულეს 1.200,000 მანეთის საქმე.

ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ. ს. მ. უ. ს. გამოსაკვებმა განყოფილებამ აამუშავა ყინულის მკეთებელი ქარხანა (ყოფილი ძეგველოვისა) ქარხანა დღეში 300 ფუთ ყინულს იმუშავებს.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

„ᲐᲦᲚᲣᲛᲘ“

კვირას, 26 ივნისს დრამის თეატრში ქართულმა დასმა, ნაცვლად „გადაქრილი მუხისა“, რომელსაც ერთი კვირით ადრე გვპირდებოდენ ანონსებში, წარმოადგინა ვ. გუნიას კომედია „აღლუმი“. ვ. გამყრელიძე (თავადი პეტრე) ეხლაც მეტ პატივისცემახ მატებდა თავის ჭაღარას. ჩერქეზიშვილი (ენენა ბაბალე) თავ ს სარფიანი მიმოხვრით და ხმის მოქცევით შეუდარებელი იყო. დავითაშვილი (ღენერალი) ნიჭიერი მსახობია, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ყველა როლში მას ემჩნევა საგრძნობლათ მოჭარბებული გრძნობების გამოსახატავად ხმის ბგერის ფსიხოლოგიური დიქციით ატორტმანება, რაც აერთფეროვანებს მის ბეშმარიტ არტისტიულ თვისებებს. ხსენებულ როლშიდაც ვერ იყო დ შორებული ამ ნაკლს. ალ. იმედაშვილი (ეკამი) და პლ. კორიშელი (ლუკა) თავთავიანთ სიმაღლეზე იდგნენ. ბეჟანიშვილის ქალი (ლუკას ცოლი) ჩვეულებრივი იყო, მას აქვს თავის საკუთარი როლი და ეს როლიც მის პარტიაში შედის. არ. ლოლუა (ამათი ქალი) საინტერესო გრაციით და დაკვირვებით ასრულებდა თავის პატარა, მაგრამ ლამაზ როლს. რაც შეეხება შოთაძის ქალს (ეკამის საცოლე) მოისუსტებდა: მისი ხმა, გავლა და ფესტი მოკლებული იყო საღ არტისტულ ღირსებას. „სამგიეროთ აღსანიშნავი იყო ტ. აბაშიძე (ნინო), იგი თავის გულუბრყვილო, ბავშური ქცევით და ამგვარივე სიცილით, ხმის—სიტყვებთან შერჩეული კომბინაციით და მანერებით თითქმის როლს ჩრდილავდა და იძლეოდა ბუნებრივ ტიპს ნუცასას.

შ. გომელაურმა (მსუქან-შვილი) ერთხელ კიდევ დაამტკიცა ამ როლში თავის პირველობა. მ. ჭიაურელმა (ივლიანე ჭარხალაძე) თავის გრიმით და ყალბი ჟესტებით უფრო კარიკატურული ტიპი გადმოგვცა, ვიდრე გაევროპელებული ბუნებრივი სასიცილო სემინარიელი ჭარხალაძე. ჭიაურელის „ვითარება“ სრულებით მოკლებული იყო იმ უტყუარ თვისებებს და დიქციას, რომელიც ერთი უმთავრესი ატრიბუტია ამ ტიპის.

ციციშვილი (მოსამსახ. ბიჭი) ჩვეულებრივ საშუალო იყო. ლორთქიფანიძეს (ნესტორ მირვანდელი) იძულებული ვართ შევნიშნოთ: ხმის კანონიერათ აკვეთისათვის და კილოს სწონაწორობისათვის—ფიზიკურ სახეობასთან შეფარდებით, ზრუნვის საჭიროება. ინდივიდუალიზმი მსახობის—როლის გარეშე არ უნდა იდგეს, არ უნდა იყოს პარალელი როლსა და მსახიობ შორის, რომელიც იძლევა გაორებულ სახეს სცენაზე და ქმნ ს ანორმალურ მდგომარეობას სიყალბისას.

X.

ᲮᲐᲠᲐᲒᲝᲣᲚᲘ

ხარაგოულის და მის რაიონის თეატრების კომისრათ ადგილობრივმა რევკომმა დანიშნა სცენის დიდი ხნის მუშაკი და საუკეთესო როლების აღმასრულებელი სანდრო ბოჭორიშვილი, რომელიც ამ დარგშა, განსაკუთრებით ამ უკან სკნელ რვა წლის განმავლობაში, მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, სრულიად უსასყიდლოთ ემსახურებოდა აქაურ სცენას; იგი ამ ჟამად ხელმძღვანელობს დასს, რომლის შემადგენლობა, სამართლე უნდა ითქვეს, ჩ ნებულად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, როგორც დრამებში ისე კომედია ვოდევილებშა—ამ დასმა, **კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წინადადებით** და ს. ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით, **გაიჩაღა სახალხო უფასო წარმოდგენების მართვა** და აპრილის განმავლობაში გამართა ოთხი წარმოდგენა; ხოლო მაისის დასაწყისში—ორი; ოთხი გამართა დ. ხარაგაულში და ორი კი სოფ. ფრცხნალში და ლეღვანში; როგორც ხარაგოულში ისე სოფლად წარმოდგენას აუარებელი ხალხი ესწრებოდა და მსახიობთა მომხიბლავი თამაში დიდ აღფრთოვანებას იწვევდა, **[illegible]** სოფლის—გლეხობაში; ასეთივ საერთო ენტუზიაზმა ძლიერ [illegible] სოფლებზედაც და ერთხმათ მოითხოვეს იქაც წარმოდგენების გამართვა; კომპარტიამ ამ სამართლიან მოთხოვნილებას შესაფერი ანგარიში გუუწია და გადასწყვიტა: „სახალხო უფასო წარმოდგენები გამართოს როგორც ხარაგოულის რაიონის ყველა სოფლებში, ისე სხვა ადგილებშიაც“ მაგრამ ამ უსაპატიოეს საქმეს, სხვათაშორის, ერთი რამ აბრკოლებს: **ეს არის პარიკების და სხვა საპირფარეშო მასალების უქონლობა.**—მე ამ სტრიქონების დაწერს არა ერთხელ მქონია შემთხვევა, ჩვენი სცენის მოყვარენი სცენაზე გამოსული, უგრიმოდ მეტად საპასუხ სმგებლო როლებში. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ტიპს ჭქმნის გარიმირება, სადაც გარიმირება არ არის იქ არც ტიპი სურათდება და თუ ტიპი არ დასურათდა იმ შემთხვევაში იქ ყოველივე ილუზია იკარგება.

გარეშე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ბრძანება განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის უფროსისა.

1. 30 ივნისს საღ. 5 საათზე დანიშნულია საერთო სწავლება ყველა წევრთა და კანდიდატებისათვის საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციისა.

2. შემდეგში მეცადინობა იქნება ხუთშაბათობით, საღამოს 5 საათიდან $8^1/_2$ საათამდე.

3) დასწრება საერთო სწავლაზე სასტიკათ სავალდებულოა, როგორც ქალებისათვის ისე მამაკაცებისათვის, თითეული მათგანის პირადი პასუხისმგებლობით.

4) ის პირნი, რომელნიც არ დაესწრებიან, შეტანილი იქნებიან სიაში და მიცემული პასუხის გებაში პარტიული დისციპლინის წესრიგის მიხედვით.

5) ყველა მათგანი უნდა გამოცხადდეს თავის რაიონის გუნდში შეიარაღებული, თუ მას აქვს ვინტოვკა, სადაც რეგისტრაციაში უნდა ჩაიწეროს.

6)საერთო სწავლებიდან ხუთშაბათობით ჯერჯერობით განთავისუფლებული არიან მხოლოდ ის პირნი, ვინც გაწვეულია პარტშკოლაში. ასეთნი უნდა დაესწრონ საერთო სწავლას კვირაობით.

7) ფიზიკურათ იარაღის ტარების უნარ მოკლებულთათვის მოწყობილია კომისია ექიმებისა, რომელთა მოწმობით განთავისუფლებულნი იქნებიან ასეთნი საერთო სწავლიდან და ჩარიცხულნი საგანგებო დანიშნულების რაზმში (ცნობები: სამხედრო განყოფილება ტ. ქ.— გოლოვინის პროსპექტი 22).

8) უფროსებმა პასუხისმგებელ მდივნებისაგან უნდა ჩაწერონ გვარები იმ ამხანაგებისა, რომლებიც თავიან საპასუხისმგებლო თანამდებობის გამო ვერ დაესწრებიან საერთო სწავლას ხუთშაბათობით სია წარდგენილი უნდა იქმნას განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის შტაბში ცალკე გუნდში ჩასარიცხავად, რომელთათვის საერთო სწავლა მოხდება კვირის რომელიმე სხვა დღეში.

განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის უფროსი **ლოლობერიძე.**

შტაბის უფროსი **არეშვი.**

ᲠᲔᲠᲝᲤᲣᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲒᲝᲛᲘ

მეთამბაქოთა კავშირში

ივნისის 19 გაართულ მეთამბაქოთა კავშირის პრეზიდიუმის და ს. მ. უ. ს. თამბაქოს განყოფილების კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე, ქუთაისის და ბათომის მეთამბაქოეთა პროფკავშირების დელეგატების მონაწილეობით, მოსმენილ იქმნა ამხ. ტერ-ასატუროვის მოხსენება თამბაქოს და კოლოფების ფაბრიკების ნაციონალიზაციის საკითხზე. მოხსენებელი წინადადებას იძლევა რევკომს დეკრეტის პროექტით გამოცხადდეს ნაციონალიზაცია მხოლოდ 8 მსხვილ თამბაქოს ფაბრიკის და ერთ საკოლოფო ფაბრიკისა, რომელიც გაერთიანებულია 12 მცირე სახელოსნოთი. ამხ. გერმანი საჭიროთ სცნობს დეკრეტის პროექტში შეტანილ იქმნეს არსებითი შესწორება: გამოცხადდეს ნაციონალიზაცია არა მარტო ფაბრიკებისა, არამეთ ს. ს. ს. რ. მთელი თამბაქოს მრეწველობისა. მოხსენების შესახებ გამართულ კამათის შემდეგ, დადგენილ იქმნა: გამოცხადდეს მთელ დამმუშავებელ და საწარმოო თამბაქ ს მრეწველობის მონოპოლია, მოხდეს ნაციონალიზაცია თბილისში 8 თამბაქოს და ერთიც საკოლოფო ფაბრიკის; ქუთაისში — ერთი ფაბრიკის და ბათომში 3-ის შემდეგ მოისმინეს ამხ ტერ-ასატუროვის მოხსენება უცხოელთა ფაბრიკებს და მათ დამოკიდებულების შესახებ სათამბაქო განყოფილებასთან. იმის გამო, რომ საკითხი მრეწველობის წარმოებათა მეპატრონენი და კერძოდ კი თამბაქოს ფაბრიკების და სახელოსნოების მეპატრონენი, ყოველივე ზომას მიმართავენ ხოლმე, რომ როგორმე თავიანთ დაცვის და მფარველობისათვის მიიღონ უცხოელთა უფლებანი, ამიტომ კრებამ დაადგინა, შეამდკომლობა აღძრას რევკომის წინაშე, რომ მან დამტკიცოთ სათამბაქო განყოფილების მიერ არჩეული საგანგებო კომისია, რომელიც შეეგრძოლება

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

წარმოებათა შეპატრონეებს უცხო ქვეშევრდომობის უფლებების წყალობით ფეხის მომაგრებას, და აღჭუროს ეს კომისა საგანგებო უფლებებით.

ამხ. ყაკოვის განცხადების გამო, პროვინციის ფაბრიკების სათამბაქო განყოფილებასთან კავშირის დაჭერის შესახებ, დაადგინეს დაიკავონ კავშირი ს. მ. უ. ს. სათამბაქო განყოფილებისა და პროვინციის ფაბრიკების შორის და წინადადება მიეცეს ადგილობრივ კავშირის ორგანოებს თვეში ორჯერ წარმოადგინოს ცნობები სათამბაქო განყოფილებების შეკითხვებზე, რომელნიც მოთავსებულნი არიან საანკეტო ფურცლებზე.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ტერენტონოვის მოხსენება საქარხნო ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უნდა შესდგებოდეს 3 პირისაგან: საფაბრიკო კომიტეტის წევრის, როგორც ეკონომიური განყოფილების წარმომადგენელი (კონტროლის ფუნქციებით), სპეციალისტი, რომელსაც სათამბაქო განყოფილება დანიშნავს და ფაბრიკის კომისარიკრებამ დადგინა: ვცნობთ რა სასარგებლოდ ერთპიროვან საქარხნო მართველობის პრინციპს, მაგრამ ამასთანავე ანგარიშს ვუწევთ რა თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას, მივიღოთ კოლეგიური მართველობა ამხ. გერმანის მიერ წამოყენებულ პრინციპების თანახმად და სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებულ ფაბრიკებში დაარსდეს კოლეგია, სადაც შევლენ კომპარტიის წარმომადგენელი (თავჯდომარე), ეკონომიურ განყოფილების წარმომადგენელი ფაბრიკის კომიტეტის წევრების რიცხვიდან და სათამბაქო განყოფილების წარმომადგენელი-სპეციალისტი. ეს კოლეგია თავმჯდომარეა სახით პასუხისმგებელია ფაბრიკის და მის წარმოების მდგომარეობაზე. საჭიროა შემოღებულ იქნეს პოლიტიკურ-ეკონომიური კონტროლი სახელმწიფოს კუთვნილებად.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩხერკეზიშვილის ქ. 136, ოდატარი „ნანალადგომელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო [illegible] ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო [illegible] ბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო [illegible] ქ. 29 „მუშაოა კლუბის“ შენობაში. 9—[illegible]

— მე-5-